დამტკიცებულია თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს 2025 წლის 02 მაისის N07 გადაწყვეტილებით

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისის მექანიზმი

პ რ ე ა მ ბ უ ლ ა

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისის მექანიზმის წესი მიზნად ისახვს უნივერსიტეტის მისიისა და ხედვის შესაბამისად უზრუნველყოს სტუდენტზე მორგებული სასწავლო გარემოს შექმნა და მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა. უნივერსიტეტი პატივს სცემს ყველა სტუდენტს და ორიენტირებულია ხელი შეუწყოს მათ ხარისხიან, ხელმისაწვდომ და მრავალფეროვანი უმაღლესი განათლების მიღებასა და შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიან სპეციალისტად ჩამოყალიბებას. უნივერსიტეტი სტუდენტთა მოთხოვნებისა და საჭიროებებიდან გამომდინარე სტუდენტს სთავაზობს აკადემიური, სამართლებრივი, ფსიქოლოგიური, კარიერული და სტუდენტებისათვის მხარდაჭერის ეფექტურ მექანიზმებს.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

სტუდენტთა კონსულტირების, მათთვის სათანადო დახმარების გაწევისა და მხარდაჭერის შედეგად მიიღწევა შემდეგი მიზნები:

- **სტუდენტისთვის არჩეული საგანამანათლებლო პროგრამის დაუფლებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა;**
- **სტუდენტთა სამართლებრივი მხარდაჭერა და უსაფრთხოების დაცვის მექანიზმი**
- **სოციალურად დაუცველი და შშმ/სსმ სტუდენტებისათვის განათლების მიღების ხელშეწყობა და მათი საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრირება.**
- **სამედიცინო მომსახურება და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა;**
- **სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერა;**

- **კვლევით საქმიანობაში ხელშეწყობა და საერთაშორისო გაცვლით პროექტებში მონაწილეობის მხარდაჭერა.**

მუხლი 2. სტუდენტისთვის არჩეული საგანამანათლებლო პროგრამის დაუფლებისა და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა;

უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და მათ აქტიურ ჩართულობას სამეცნიერო/კვლევით საქმიანობაში;

უნივერსიტეტი ახორციელებს სტუდენტების აქტიურ მხარდაჭერას, როგორც სწავლების საწყის ეტაპზე, ასევე ნებისმიერ ეტაპზე, სტუდენტის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების პროცესს ორგანიზებას უწევს უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახური;

სასწავლო წლის პირველივე დღეს უნივერსიტეტი პირველკურსელ ქართველ და უცხოელ სტუდენტებთან აწყობს გაცნობით შეხვედრას, სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია დაწესებულების მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპების შესახებ. საუნივერსიტეტო სივრცეში სტუდენტებისათვის ეწყობა გაცნობითი ხასიათის ტური.

სემესტრის დასაწყისშივე პირველკურსელი ქართველი და უცხოელი სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამების, კრედიტების, სწავლის მეთოდებისა და კომპონენტების, სავალადებულო და არჩევითი სასწავლო კურსების შესახებ.

სასწავლო სემესტრის დასაწყისში სტუდენტს მიეწოდება ინფორმაცია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და მასში სტუდენტთა აქტიური ჩართულობის შესახებ;

უნივერსიტეტი სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას სტუდენტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით სხვადასხვა მხარდამჭერი ღონისძიებების (მაგ: სტიპენდია, სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი გრაფიკი და სხვა);

პირველკურსელ სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემით სარგებლობის წესების შესახებ;

სტუდენტის საკონსულტაციო მხარდაჭერის ფარგლებში შესაბამისი კურსის ლექტორი, სასწავლო სილაბუსში საკონტაქტო და საკონსულტაციო საათების მითითებით სტუდენტისათვის ადგენს კონსულტაციის კონკრეტულ დღეს, დროსა და ადგილს, თუ სალექციო/სასემინარო საათების გარდა სტუდენტს ესაჭიროება ინდივიდუალურად ან ჯგუფურად ლექტორისაგან დამატებითი დახმარება, ინფორმაციის გაზიარება, კითხვების

დასმა, კითხვაზე პასუხის მიღება, იგი ისარგებლებს დამატებითი საკონსულტაციო საათებით, წინასწარ შემუშავებული ცხრილისა და ლექტორთან შეთანხმების საფუძველზე;

სტუდენტის საკონსულტაციო მხარდაჭერა გულისხმობს, როგორც ელექტრონული მიმოწერით დახმარებას, ისე უნივერსიტეტში შეხვედრას. აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის და თვალსაჩინოების მიზნით, გამოკრულია ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე;

უცხოელი სტუდენტებისათვის უნივერსიტეტი გამოყოფს ტუტორს, რომელიც ეხმარება მათ აკადემიური და სოციალური საკითხების მოგვარებაში;

უნივერსიტეტი სტუდენტებს თავისი უფლებებისა და მოვალეობების გაცნობის, გარემოში მარტივად ადაპტაციისა და უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული რესურსით სრულად სარგებლობის მიზნით სთავაზობს შემდეგ მხარდაჭერას:

უნივერსიტეტი სტუდენტებისათვის წარმოადგენს პრეზენტაციას დაწესებულების სერვისების, სტუდენტთა უფლებებისა და ვალდებულებების, სასწავლო პროცესის თავისებურებების, ქცევისა და ეთიკის ნორმების, უსაფრთხოებისა და სხვა წესების შესახებ.

სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ თანაბარ პირობებში ისარგებლონ თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო და სხვა საშუალებებით.

სტუდენტები სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის განსახორციელებლად სარგებლობენ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით. საბიბლიოთეკო რესურსით, რაც აღჭურვილია სამკითხველო და კომპიუტერული აუდიტორიით, წიგნადი ფონდით, ელექტრონული ბიბლიოთეკით (ელექტრონული წიგნები და პერიოდული გამოცემები, აუდიო და ვიდეოჩანაწერები; ელექტრონული სამეცნიერო ბაზები).

მუხლი 3. სტუდენტთა სამართლებრივი მხარდაჭერა და უსაფრთხოების დაცვის მექანიზმი

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ქართველი და უცხოელი სტუდენტების ინფორმირებას სამართლებრივი მხარდაჭერისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით:

უნივერსიტეტი მუდმივად ცდილობს დაიცვას ქართველი და უცხოელი სტუდენტების უფლებები და თავისუფლებები განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა თუ სხვა გარემოებისა;

სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების ეფექტურობის შეფასება ხდება სპეციალური ანკეტა კითხვარებით, რომელსაც შეიმუშავებს ხარისხის მართვის სამსახური;

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტთა კონსულტირებას, დახმარებას, სტუდენტების ინტერესების, უფლებებისა და თავისუფლებების დაცვასა და მათი დარღვევის ფაქტების

გამოვლენას. ასევე, დარღვეული უფლების აღდგენას საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად;

უნივერსიტეტი ქართველ და უცხოელ სტუდენტთა უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ატარებს საინფორმაციო და საგანმანათლებლო აქტივობებს/ღონისძიებებს, მათ შორის რაც კიდევ უფრო გაზრდის მათ ცნობიერებას საერთაშორისო სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებზე;

უნივერსიტეტი მიზნობრივ ინდივიდუალურ დახმარებას გაუწევს უცხოელ სტუდენტებს რაც გულისხმობს შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებასა და სახელმწიფოს ორგანოებთან კომუნიკაციას, სასწავლო ბინადრობის ნებართვის მიღებას, დასაქმებას, საცხოვრებელი ფართით სარგებლობსა და სხვა აქტუალური სამართლებრივი საკითხების რეგულირებას.

მუხლი 4. სოციალურად დაუცველი და შშმ/სსმ სტუდენტებისათვის განათლების მიღების ხელშეწყობა და მათი საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრირება.

უნივერსიტეტი ზრუნავს სოციალურად დაუცველი, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული, მრავალშვილიანი ოჯახების; მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები, ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის დაღუპულ პირთა/შვილებსა და ოჯახის წევრებზე და მათთვის აწესებს გარკვეულ შეღავათებს.

უნივერსიტეტი შშმ/სსმ მქონე სტუდენტებისთვის ქმნის ყველა პირობას განათლების მისაღებად და ხელს უწყობს საზოგადოებაში მათ სრულფასოვან ინტეგრირებას. სტუდენტები სარგებლობენ შესაბამისი პანდუსებითა და ხელმისასწვომი სერვისებით, რათა თავისუფლად შეძლონ ყველა აუდიტორიასა და კაბინეტში გადაადგილება, საჭიროების შემთხვევაში აღნიშნულ პირებს უტარდებათ პირველადი სამედიცინო დახმარება.

შშმ/სსმ პირებს საჭიროების შემთხვევაში დახმარებას უწევს უსაფრთხოების სამსახური, რომელიც აღჭურვილია სათვალთავლო კამერებითა და ოცხადოთსაათიან რეჟიმში უზრუნველყოფს შენობის დაცვას და ემსახურება უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნას.

მუხლი 5. სამედიცინო მომსახურება და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა;

უნივერსიტეტი ქართველ და უცხოელ სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის, სამედიცინო დაზღვევის, პაკეტების, ქალაქის სამედიცინო სერვისების შესახებ;

უნივერსიტეტი უზრუნვეყოფს სტუდენტების სამედიცინო მომსახურებას, დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტი, რომელიც განთავსებულია იურიდიულ მისამართზე (ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N31) კაბინეტი აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით.

უნივერსიტეტში მოქმედებს ფსიქოლოგიის სასწავლო პროგრამა

ემოციური და ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე სტუდენტები მიიღებენ უფასო ფსიქოლოგიურ კონსულტაციასა და დახმარებას, რაც გულისხმობს სტუდენტების და აკადემიური პერსონალის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვას და მხარდაჭერას.

ფსიქოლოგის მიზანია უზრუნველყოს სტუდენტის წინაშე წამოჭრილი ფსიქო-ემოციური პრობლემების გადაჭრის პროცესის ხელშეწყობა და ეფექტური გზების მოძიება.
უნივერსიტეტის ფსიქოლოგი ქართველ და უცხოეულ სტუდენტს, მათი სურვილის გათვალისწინებით სთავაზობს მათი სურვილის გათვალისწინებით ინდივიდულურ და ჯგუფურ კონსულტაციებს.

მუხლი 6. სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერა

სტუდენტთა ინფორმირება და მხარდაჭერა დასაქმებისა და კარიერული განვითარების საკითხებზე

აკადემიური-სასწავლო წლის დასაწყისისთანავე, ახლად ჩარიცხულ სტუდენტებთან
კარიერული მხარდაჭერის სამსახურის თანამშრომლები მართავენ გაცნობითი ხასიათის შეხვედრებს, აცნობენ მათ საუნივერსიტეტო სივრცეს, აწვდიან ინფორმაციას აღნიშნული სამსახურის, სტუდენტთა თვითმმართველობისა და ფაკულტეტების საქმიანობის შესახებ.

კარიერის განვითარებისა და მხარდაჭერის სამსახური პირველკურსელთათვის ამზადებს საინფორმაციო მასალებს, გზამკვლევის სახით, სადაც მოცემულია ინფორმაცია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული შიდა პროცედურებისა და სტრუქტურული ერთეულების შესახებ.

სტუდენტების და კურსდამთავრებულების ინტერესების, ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით შესაფერისი ვაკანსიების, სტაჟირების, საუნივერსიტეტო, საერთაშორისო სტიპენდიების, კონფერენციებისა და სემინარების შესახებ ინფორმაციის მოძიება და მიწოდება;

სტუდენტების ხელშეწყობა დასაქმებისათვის აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარებაში, მათი ინფორმირება შრომის ბაზრის დინამიკასა და პერსპექტივებზე, სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, დამსაქმებლებთან მჭიდრო თანამშრომლობა მათი სასწავლო პროცესთან დაახლოებისა და სამომავლოდ, საგანმანთლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულობის უზრუნველსაყოფად;

უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს შრომის ბაზარზე მოქმედ კომპანიებთან სხვადასხვა მიმართულებით. უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს HR ფორუმს, სადაც წარმომადგენლები არიან წამყვანი ქართული კომპანიებიდან და საჯარო სამსახურებიდან;

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა ბაზების მუდმივ განახლებას; კურსამთავრებულთა ურთიერთობის არსებისა და ჩართულობის განვითარების მუდმივი უზრუნველყოფას; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის მუდმივ კვლევასა და ანალიზს; კურსდამთავრებულთა ფორუმის/შეხვედროს ორგანიზება, შეთანხემბული პერიოდულობით.

უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს სტუდენტისათვის ხარისხიანი განათლების მიწოდებაზე, სტუდენტურ ცხოვრებაზე და სწავლის პერიოდში სტუდენტებს სთავაზობენ სხვადსხვა ტიპის პროექტს, ინტელექტუალურ გასართობ, სპორტულ და სხვა ღონისძიებებს.

მუხლი 7. კვლევით საქმიანობაში ხელშეწყობა და საერთაშორისო გაცვლით პროექტებში მონაწილეობა

სტუდენტთა კვლევით და საერთაშორისო გაცვლით პროექტებში მონაწილეობის მხარდასაჭერად, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს:

უნივერსიტეტის სტრუქტურაში მოქმედი კვლევების განვითარებისა და სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურები ერთობლივად ახორციელებენ სტუდენტთა კვლევითი პროცესის კოორდინაციას, მონიტორინგს და მათ მხარდაჭერას.

უნივერსიტეტი მუდმივად აწვდის გაახლებულ ინფორმაციას სტუდენტებს საერთაშორისო გაცვლითი პროექტების თაობაზე, მათ შორის პარტნიორ უნივერსიტეტებზე და მათი მონაწილეობით შემოთავაზებულ კვლევით და სასწავლო პროექტებზე;

უნივერსიტეტი ზრუნავს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში ჩართულობასა და შესაძლებლობების ხელმისაწვდომობაზე, ინფორმაციის საჯაროობის მიზნით მნიშვნელოვანია შეხვედრების მოწყობა;

უნივერსიტეტი კონსულტირებას უწევს სტუდენტებს კვლევით პროექტებში და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის, პროცედურისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის, კონფერენციების სემინარებისა და სხვა ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებას უნივერსიტეტის ელ.ფოსტის, სოციალური გვერდის და ვებ-გვერდების საშუალებებით. გამოქვეყნებული ინფორმაცია ასევე შეიცავს კონკურსის დეტალებსა და შერჩევის კრიტერიუმებს.

მუხლი 8. საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართული პირები/სამსახურები და მათი ფუნქციები და მოვალეობები:

- **სასწავლო პროცესის მართის სამსახური** :

  ახდენს სტუდენტთა ინფორმირებას სხვადასხვა სახის საკონსულტაციო მომსახურების შესახებ;

  ადგენს პროფესორთა საკონსულტაციო მომსახურების განრიგს კონკრეტული სასწავლო კურსის, საკონსულტაციო დღის, დროის და აუდიტორიის მითითებით; განრიგი განთავსდება სასწავლო პროცესის მართვის ელ. პროგრამაში და წვდომა სტუდენტს აქვს საკუთარი პროფილიდან.

- **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:**

  სტუდენტებს აწვდის ინფომრაციას უნივერსისტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებზე და ასევე ამ მექანიზმების უზრუნველყოფაში სტუდნტების მონაწილეობის და ჩართულობის შესახებ.

- **ფაკულტეტის დეკანი:** სტუდენტს საჭიროებების გათვალისწინებით უდგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას; აძლევს კონსულტაციებს სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვის და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით;

- **აკადემიური/ მოწვეული პერსონალი**

  აკადემიური/მოწვეული პერსონალი, როგორც სასწავლო კურსის განმახორციელებელი, სტუდენტს უწევს საკონსულტაციო მომსახურებას უნივერსიტეტში, სასწავლო კურსის ცალკეული თემის, საკითხის შესწავლის პროცესში წარმოქნილი სირთულეების დაძლევის, რეფერატის, პროექტის თუ სხვა სახის დავალებების შესრულებაში დახმარების მიზნით. საკონსულტაციო დრო განსაზღვრულია პროფესორის დატვირთვაში და მისი ვალდებულება გაწერილია შრომით ხელშეკრულებაში.

  კონსულტაცია შეიძლება იყოს წინასწარ დაგეგმილი პროფესორის მიერ ცალკეული თემის სირთულიდან/ საჭიროებებიდან გამომდინარე და ამის შესახებ სტუდენტები იღებენ ინფორმაციას კურსის განმახორციელებლისგან (დაგეგმილი განრიგის შესაბამისად); კონსულტაცია შეიძლება იყოს ინდივიდუალური , სტუდენტის მოთხოვნით და მისი საჭიროებების გათვალისწინებით.

  ინდივიდუალური კონსულტაცია შესაძლებელია განხორციელდეს ასევე „ონლაინ“ რეჟიმში სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამის მეშვეობით.

- **იურიდიული სამსახური**

  აწვდის ინფორმაციას სტუდენტთა უფლებებისა და ვადებულებების შესახებ, უზიარებს ინფორმაციას სტუდენტის საერთაშორისო სტატუსთან დაკავშირებით, მიაწვდის სრულ ინფორმაციას ბინადრობის და ვიზების შესახებ და სხვა.

- **საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური**

  აწვდის ინფორმაციას საერთაშორისო პარტნიორების, გაცვლითი პროგრამების, კონფერენციების, სემინარების და სხვა ღონისძიებების შესახებ.

- **სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახური:**

  სტუდენტს დახმარებას უწევს დასაქმებისა და კარიერის ეფექტიანი დაგეგმისთვის საჭირო სოციალური და პრაქტიკული უნარების შეძენაში;

სტუდენტები ინფორმირებულები არიან სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ; სამუშაო ვაკანსიებისა და სტაჟირების შესაძლებლობების შესახებ.

აწვდის ინფორმაციას დაგეგილი სოციალურ-კულტურული, სოციალიზაციაზე ორიენტირებული ღონისძიებების შესახებ, ეხმარება საერთაშორისო სტუდენტებს ქვეყანასა და საუნივერსიტეტო გარემოში ადაპტაციის მიზნით და სხვ.

- **ექიმი**

  სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას არსებული სამედიცინო დაწესებულებების შესახებ; უწევს პირველად სამედიცინო დახმარებას და უწევს კონსლტაციებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ (კომპეტენციის ფარგლებში).

- **ფსიქოლოგი**

  კონსულტაციას უწევს სტუდენტებს სხვადასხვა ტიპის ფსიქოლოგიური სირთულეების, პრობლემების შესახებ.

- **საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური:**

  რეაგირებს სოციალური ქსელით შემოსულ შეკითხვებზე და კომპეტენციის ფარგლებში უწევს კონსულტაციას სტუდენტებს სხვადასხვა საკითხებზე, აკავშირებს შესაბამის სამსახურებთან და ა.შ.

- **კვლევების განვითარების სამსახური:**

  აწვდის ინფორმაციას და უწევს კონსულტაციას სტუდენტებს შიდასაუნივერსიტეტო, უნივერსიტეტთაშორისი და საერთაშორისო კვლევითი პროექტების შესახებ და სამეცნიერო კონფერენციების თაობაზე, სადაც სტუდენტთა ჩართულობაა გათვალისწინებული.